გამარჯვება

საქ. კპ ახმეტის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო

გამარჯვება — орган Ахметского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

ოთხშაბათი, 7 მარტი, 1956 წ. № 29 (685) ფასი 15 კაპ.

ქალთა საერთაშორისო დღე

ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს საბჭოთა ხალხი წელს აღნიშნავს უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, რომელთაც წარმატებით დაამთავრეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებისათვის. მეექვსე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც უკვე მოქმედებაში შევიდა, იქნება ჩვენი საშობლოს შემდგომი აყვავებისა და სიძლიერის ხუთწლედი, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ხუთწლედი. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხალხმა ახალი, მეექვსე ხუთწლიანი გეგმა მიიღო, როგორც თავისი ღვიძლი საქმე. კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო შრომაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოთა ქალები, რომელნიც კომუნისტურმა პარტიამ პოლიტიკური ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოიყვანა.

ისტორიას ჩაბარდა ის შავბნელი ცხოვრების ფურცლები, როცა ქალები დამონებულნი, ადამიანის ელემენტარულ უფლებებს იყენენ მოკლებულნი. ახლა ისინი მამაკაცების თანაბრად შრომობენ კომუნიზმის ბრწყინვალე შენობის ასაგებად. არის სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის ისეთი დარგი, სადაც ქალები არ მონაწილეობდნენ და თავისი ძვირფასი წვლილი არ შეჰქონდეთ.

ქალები ჩვენს ქვეყანაში სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. მათთვის შექმნილია ყველა პირობა იმისა, რომ მათ შეეძლოთ თავისი ნიჭისა და შემოქმედებითი ძალების გაშლა, გაფურჩქვნა.

საბჭოთა ქალების ცხოვრება და შრომა აღმაფრთოვანებელი მაგალითია მსოფლიოს ყველა ქალებისათვის.

მხოლოდ თავისუფალი შემოქმედებითი შრომით გახდა შესაძლებელი, რომ ჩვენი რაიონის კოლმეურნე ქალები, მუშები, მოსამსახურეები, ინტელიგენცია დაუღალავად შრომობენ სოციალისტური საშშობლოს მძლავრი აღმავლობისათვის. განა როდის შეეძლოთ, თუ არა ბორკილებაყრილი თავისუფალი შრომის დროს, საქვეყნოდ გაეთქვათ სახელი ქისტაურელ მეაბრეშუმე ნოვატორ ქალებს ო. აივაზაშვილს, ნ. დურგლიშვილს, ვ. კვიცაშვილს, ოჟეოელ კოლმეურნეს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ე. მეჭურჭლიშვილს და მრავალ სხვას, რომელთა უმრავლესობას ჭაღარა გამოერიათ სამშობლოსადმი უმწიკლო სამსახურში.

აღნიშნავენ რა ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს, საბჭოთა ქალები მხურვალედ გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ქვეყნის უმაგალითო აღმავლობის, მისი სიძლიერის მკაფიო დოკუმენტს, უფრო მეტად გაშლიან მუშაობას, რათა გაამრავლონ წარმატებები, გაამრავლონ საშშობლოს სახელი და დიდება.

ქალი საბჭოთა ქვეყანაში უდიდესი ძალაა. არ არსებობს სახოგადოებრივი ცხოვრების ისეთი სფერო, რომლებშიაც ქალი არა თამაშობდეს აქტიურ როლს და არ იძლეოდეს სამშობლოსადმი სამსახურის პატრიოტულ მაგალითებს.

სურათზე: მოსკოვის გამოჩენილ ქალთა ჯგუფი: ხხედან (მარცხნიდან მარჯვნივ)—სტალინური პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი ტ. პ. ნიკოლაევა, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ინჟინერ-ტექნოლოგი გ. ვ. სოლოვიევა, რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 365-თე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ი. შიპოვა, სსრკ სახალხო არტისტი ე. ნ. გოგოლევა, ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის მეტროპოლიტენის საუკეთესო მემანქანე ე. მ. ხოროლეცი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი გმირი-დედა ა. გ. ბალაშოვა; დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) — სკკპ XX ყრილობის დელეგატი, ფაბრიკა „პარიზის კომუნის“ ოსტატი ლ. ს. საველიევა, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საწარმოს გამოჩენილი ხარატი ვ. ი. გოლანსკაია, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ბორტ-რადისტი ე. ა. ხოლინა რომელმაც იფრინა 2 მილიონი კილომეტრი, სკკპ XX ყრილობის დელეგატი, „ტრუხგორნაია მანუფაქტურას“ კომბინატის ოსტატის თანაშემწე მ. ტ. ტიტოვა.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა და ბ. ტრეპეტოვისა. საკადესის ფოტოქრონიკა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი ჩვენი რაიონის მშრომელებს აღაფრთოვანებენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად

* * * *

ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგზე მატნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ერთსულოვანი აღფრთოვანებით მოვიდნენ. ყრილობის მუშაობის შესახებ მიტინგზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. შ. ბუცხრიკიძემ.

ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, — ამბობს მომხსენებელი,—უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ეს გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის დიად, შთამაგონებელ პროგრამას.

სიტყვას იღებს მეევნახეობის მოწინავე ბრიგადირი ა. მამუჩარაშვილი.

მშობლიური პარტია და საბჭოთა მთავრობა,—თქვა მან,—შეუნელებლად ზრუნავენ ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ ზრუნვის საპასუხოდ ვალდებულებას ვიღებ წელს ყოველი ჰექტარი ვენახიდან მოვიყვანო 80 ცენტნერი ყურძენი.

წელს, როცა სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულია ახალი პასუხსაგები ამოცანები,—განაცხადა კოლმეურნეობის გამგეობის წევრმა გ. ბოდაველმა,—მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება. პარტია და მთავრობა ჩვენგან მოითხოვენ მომავალში უფრო ბეჯითად ვიმუშაოთ, მივაღწიოთ მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებას. ვალდებულებას ვიღებ ჩემზე გაპიროვნებული სიმინდის ერთ ჰექტარ ფართობიდან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერისა 80 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანო.

სიტყვებით გამოვიდნენ და გადიდებული ვალდებულებები აიღეს აგრეთვე მეევნახეობის მესამე ბრიგადის ბრიგადირმა კ. ხობობაშვილმა, მოწინავე მეევნახემ ა. ყაზარაშვილმა, მეძროხეობის ფერმის გამგემ ბ. ნონიაშვილმა და სხვებმა.

კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებები და პირობა დადეს, რომ მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრებენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს.

ა. ნონიაშვილი.

დუმასტურელ კოლმეურნეთა ვალდებულებანი

დუმასტურელი კოლმეურნეები მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილ მიტინგზე, რომელიც 4 მარტს შედგა, თავიანთ გამოსვლებში გამოხატეს ის დიდი სიყვარული და ნდობა, რასაც ისინი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი იჩენენ. სიტყვით გამოსულმა მევენახე ს. მაქოევმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებები გამოხატავენ ყოველი საბჭოთა ადამიანის ფილოსოფიასა და გრძნობას. საბჭოთა ხალხი ამ გადაწყვეტილებებში ხედავს ჩვენი საშშობლოს შემდგომ ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას, თავისუფალ, შეძლებულ, მშვიდობიან ცხოვრებას.

—იმ ზრუნვის პასუხად,—აღნიშნა მან,—რასაც კომუნისტური პარტია ჩვენს მიმართ იჩენს, ჩვენ ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით უნდა ვუპასუხოთ. მე ვალდებულებას ვკისრულობ ჩემზე გაპიროვნებულ 0,8 ჰექტარ ვენახის ფართობიდან მივიღო 120 ცენტნერი ყურძენი.

—ვიწონებ რა კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებებს,—აღნიშნა მემინდვრეობის მერგოლურმა მ. ქოზაევმა,—რგოლის სახელით ვალდებულებას ვიღებ სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები და უზრუნველყოთ მარცვლეული კულტურების მაღალი მოსავლის მიღება.

სიმინდის მოსავლიანობის შემდგომი ზრდისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მემინდვრეობის ბრიგადირმა შ. ჯიოევმა, კოლმეურნე ზ. კაბისოვმა და სხვებმა.

დ. ნარეზაული.

ქვანახშირის ახალი რაიონების ათვისება

მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში აშენდება 66 დიდი შახტი და ჭრილი, რომელთა წლიური საერთო წარმადობა 26.885 ათასი ტონა სათბობი ნედლეულია.

გაჩაღებულია ახალი ქვანახშირის საბადოების ათვისება ლვოვ-ვოლინის, იტატის და სხვა აუზებში. ყაზახეთის ტიკიბასტუზის საბადოს პირველი ჭრილის მაღაროელთა კოლექტივმა ერთნახევარჯერ გადააჭარბა თავის საწარმოს დაპროექტებულ სიმძლავრეს.

ურალში, სახალინზე, ციმბირში, ჩრდილოეთ და სხვა რაიონებში მიმდინარეობს ახალი ქვანახშირის ფენების ძიება.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ხაზით განზრახულია მიმდინარე წელს დამთავრდეს ქვანახშირის ახალ ბუდობთა ძიება ჩვენი ქვეყნის 112 პუნქტში. (საკადესი).

ნოვოსიბირსკის მეათასე კომბაინი

ნოვოსიბირსკის საწარმოები აძლიერებენ დახმარებას სოფლის მეურნეობისადმი. მეექვსე ხუთწლედის დამდეგიდან ნოვოსიბირსკის ფაბრიკებმა და ქარხნებმა კოოპერაციის მეთოდით დაიწყეს „სტალინელ—6“ მარკის მარცვლეულის კომბაინების გამოშვება. ამ მანქანების დეტალები და კვანძები კეთდება ათობით საწარმოში. ტურბინგენერატორის ქარხანამ დაამონტაჟა და აამუშავა მთავარი საამწყობო კონვეიერი. ამას წინათ კონვეიერიდან ჩამოვიდა მეათასე მანქანა.

ნოვოსიბირსკის მუშებმა და ინჟინრებმა გადაწყვეტეს 18 ათასი კომბაინი მისცეს წელს ჩვენს ქვეყანას. (საკადესი).

ჩვენი რაიონის მოწინავე ქალები

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საბუდამოდ გაათავისუფლა ქალი ჩაგვრისა და დამცირებისაგან. ახლა თავისუფალი საბჭოთა ქალები მამაკაცებთან ერთად უმაგალითო აღფრთოვანებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

ქალი საბჭოთა ქვეყანაში დიდი ძალაა. არ არის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, სადაც ქალები არ მონაწილეობდნენ. კულტურისა და ხელოვნების, განათლებისა და ჯანმრთელობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში, ქალების მონაწილეობა მეტად დიდია. ისინი ძალების დაუზოგავად შრომობენ ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის ცხოველმყოფელი მზის ქვეშ გაიშალა ქალთა ნიჭი. თავისუფალმა შემოქმედებითმა შრომამ გამოიყვანა ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო ასპარეზზე.

თავისუფალი საკოლმეურნეო შრომის საფუძველზე გახდა შესაძლებელი, რომ საქვეყნოდ გაეთქვათ სახელი ოსანა აივაზაშვილსა და მის ამხანაგებს, ქისტაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორ მეაბრეშუმეებს.

ოსანა აივაზაშვილმა ახალი სიტყვა თქვა აბრეშუმის ჭიის გამოკვების ვადების შემცირების საქმეში და შესანიშნავი წარმატება მოიპოვა აბრეშუმის პარკის გადიდებაში. ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მეთოდი მთელი ჩვენი რესპუბლიკის მეაბრეშუმეების საკუთრება გახდა. ოსანა აივაზაშვილი ღირსეულად ატარებს სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო სახელს.

ნახევარი საუკუნის განძილზე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურებიან დამსახურებული მასწავლებლები ბ. ბახუტაშვილი, ე. ფარეულიძე, კ. ლუკავსკაია და სხვები, რომელნიც უმწიკლო მუშაობისათვის მთავრობის უმაღლეს ჯილდოს—ლენინის ორდენებს ატარებენ.

ოცდათექვსმეტი წლის განძილზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის სადარაჯოს უანგაროდ ემსახურება ჭალარა, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე და მდიდარი გამოცდილების მქონე ნ. ნიკულინა—ქადაგიძისა. მას უმწიკლო მუშაობისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება აქვს მინიჭებული.

ოქიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ე. მეპურჭლიშვილმა ნაყოფიერი შრომით კოლმეურნეთა სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

15 წელია, რაც ელენე გომელაური ჯავშირგაბმულობის ახმეტის რაიკანტორის მეელსმენედ მუშაობს. თავდადებული შრომისათვის მას ორი მედალი და მრავალჯერ ფულადი ჯილდო აქვს მიღებული.

ჩვენი რაიონის მშრომელი ქალები, რომელნიც გარემოსილი არიან მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობით, კიდევ უფრო გააძლიერებენ თავიანთ წარმატებებს და სასახელო შრომითი მამაცობით ძვირფას წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობაში.

ძ. ლიჭანიშვილი.

ზრუნვა დედისა და ბავშვისათვის

ქალაქ სტალინირში გაიხსნა ახალი საშობაიარო სახლი. იგი მოთავსებულია ორსართულიან შენობაში, კარგად არის მოწყობილი. საქართველოში შექმნილია რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს სისტემის საშობაიარო სახლების განშტოებული ქსელი, რომელსაც აქვთ დაახლოებით 3 ათასი საწოლი.

გაიხსნა აგრეთვე 100-ზე მეტი საკოლმეურნეო საშობაიარო სახლი, დაახლოებით 870 საფერშლო-სამეანო პუნქტი და ქალთა კონსულტაცია.

დედები და ბავშვები გარემოსილი არიან დიდი ზრუნვით. მარტო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აქვს 359 საბავშვო ბაგა. ახალი საბავშვო ბაგები გაიხსნა ამას წინათ რუსთავსა და ფოთში. მინდერის სამუშაოების დროს ეწყობა სეზონური ბაგები კოლმეურნეობებში. მარტო შარშან ამ ბაგებმა მომსახურება გაუწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელთა 30 ათას ბავშვს.

რესპუბლიკაში მუშაობს დედისა და ბავშვის 3 სახლი და 13 საბავშვო სახლი. ბაკურიანში, სურამში, წალენჯიხაში, ბულეთში, ლესელიძეში და სხვა კურორტებზე გაიხსნა 22 სანატორიუმი ბავშვებისათვის. ასობით დედა ყოველწლიურად იმყოფება ჯანმრთელობას ბორჯომის სანატორიუმ „ფირუზაში“.

წლითი წლობით დიდდება ასიგნობანი დედისა და ბავშვის დაცვისათვის. წელს მარტო ქალაქისა და სოფლის ბავშვთა ბაგებისა და სასადილოების სახლების შესანახად [illegible] ჯება 41.205 ათასი მანეთი (საქდესი).

ციფრები და ფაქტები

✶ სამამულო ომში გმირული მონაწილეობისათვის 120 ათასი პატრიოტი ქალი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, 8 ათასზე მეტი ქალი დაჯილდოვდა მედლით „სამამულო ომის პარტიზანს“, ხოლო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 70 ქალს.

✶ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მოძუშავე 2.270-ზე მეტ ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. მათ შორის 200-ზე მეტი ქართველი ქალია.

✶ ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არიან ცნობილი სოციალისტური შრომის გმირები ს. მარიდაშვილი, დ. ტაკიძე, ა. ჯიჯავაძე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია და მრავალი სხვ.

✶ საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია 300-დე ქალი. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოსი—2 ათასზე მეტი, ადგილობრივი საბჭოებისა —ნახევარ მილიონზე მეტი.

✶ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევი, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობს 2 მილიონ 700 ათასზე მეტი ქალი.

✶ ფართოდ არიან ცნობილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ა. პანკრატოვა, მ. ნეჩკინა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ა. ნოვოსელოვა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ე. ბლინოვა და სხვ.

✶ საქვეყნოდ ხახელი გაითქვეს მწერალმა ქალებმა ო. ფორშმა, ვ. შაგინიანმა, ვ. ვასილევსკაიამ, არტისტებმა ა. ტარასოვამ, ვ. დავიდოვამ, ნ. დუდინსკაიამ და სხვ.

✶ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ქალთა რიგებში არიან მეცნიერი ქალები კ. ბახტაძე, ნ. ჯავახიშვილი, ნ. ციციშვილი, ა. ნიკოლაძე, ქ. სიხარულიძე, ქ. ლომთათიძე, თ. მრევლიშვილ , თ. ბერეჟიანი, მუშა ქალები მ. ბურჯანაძე, გ. რაქველიშვილი, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები—ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, მ. ბარათაშვილი და სხვები.

✶ ჩვენს რესპუბლიკაში 1955 წლისათვის საშშობიარო საწოლების რიცხვმა 2.000 გადააჭარბა, მაშინ, როცა 1928 წელს ამ ხოლოდ 224, ხოლო 1940 წელს 842 საწოლი იყო. საბავშვო ბაგებში 1955 წელს 14.831 ადგილი იყო, ნაცვლად 550-სა 1928 წელს და 4.275-ისა 1932 წელს.

✶ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის ბრძანებულების მიღების შემდეგ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დახმარების სახით მიეცათ 755.597.000 მანეთი, აქედან 73.695 ათასი 1955 წელს, ნაცვლად 29.931 მანეთისა 1941 წელს.

✶ ამავე პერიოდში „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ დაჯილდოებული იყო 7.867 მრავალშვილიანი დედა (აფხაზეთისა და აჭარის ასსრ გარდა), ხოლო 993 მრავალშვილიან დედას მიენიჭა გმირი დედის საპატიო წოდება.

ჩვენი რაიონის მოწინავე ქალები: ზევიდან ქვევით სოფელ ქისტაურის მეაბრეშუმეობის მერგოლური, სტალინური პრემიის ლაურეატი ოსანა აივაზაშვილი, მეაბრეშუმეები ვართო ქვიცაშვილი და ნუშო დურგლიშვილი (ქისტაური), სოფელ ოქიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელენე მეპურჭლიშვილი, დამსახურებული მასწავლებლები ეკატერინე ლუკავსკაია, ელენე ფარეულიძე (ახმეტა), მარიამ ბახუტაშვილი (ზემო ალვანი), დამსახურებული ექიმი ნადეჟდა ნიკულინა—ქადაგიძისა (ზემო ალვანი).